2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიში: ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გამოვლენილი საარჩევნო დარღვევები



2024

უფლებადამცველთა გაერთიანება – ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანგარიში მოამზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 3

კენჭისყრის შენობის მოწყობა 4

კოორდინაცია, მობილიზაცია და ზეწოლა: არაუფლებამოსილი პირები 5

საგარეჯოს საარჩევნო უბნებთან არსებული მდგომარეობა 6

გარდაბნის საარჩევნო უბნებთან არსებული მდგომარეობა 7

მარნეულისა საარჩევნო უბნებთან არსებული მდგომარეობა 7

მარკირების პროცედურები 9

პირადობის მოწმობათა არაკანონიერი გამოყენება 10

ხმების განმეორებით მიცემა 11

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა 11

კენჭისყრის კაბინაში ფოტოგადაღება 12

კენჭისყრის კაბინაში ჯგუფურად შესვლა 13

კენჭისყრის შედეგების შეჯამება 14

საარჩევნო დარღვევებზე არაეფექტური რეაგირების მიზეზები 15

მიკერძოებული კომისიის წევრები და დამკვირვებლებისადმი გამოვლენილი მტრული დამოკიდებულება 15

ფსევდოდამკვირვებლები 17

კომისიის წევრების კომპეტენცია 18

დარღვევათა შეჯამება 19

შესავალი

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა პარტნიორი ორგანიზაციის - ადამიანის უფლებათა ცენტრის მცირერიცხოვანი სადამკვირვებლო მისიის მონიტორთა ანგარიშებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი 2024 წლის 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებს კახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში დააკვირდა. ცენტრს სტატიკური და მობილური დამკვირვებელთა ჯგუფები ჰყავდა გადანაწილებული საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის მუნიციპალიტეტების ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში და გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში. ორგანიზაციის 20 მონიტორი დააკვირდა არჩევნების სხვადასხვა ეტაპებს და პროცედურებს, მათ შორის, საარჩევნო უბნის გახსნას, კენჭისყრას, ხმის დათვლას, შემაჯამებელი ოქმების შევსებას და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ცენტრი საპარლამენტო არჩევნებს საერთაშორისო ორგანიზაციის - ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით დააკვირდა. თავის მხრივ, არჩევნებს საქართველოში ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის საერთაშორისო დამკვირვებლებიც დააკვირდნენ. მათ უწყვეტი კავშირი ჰქონდათ ადამიანის უფლებათა ცენტრის ოფისთან[1].

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თავის მხრივ, დამკვირვებლები აღწერდნენ საარჩევნო დარღვევებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში - მუღანლო, ლამბალო, ქეშალო, დუზაგრამა; ქალაქ მარნეულში და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში; ქალაქ გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ვახტანგისი, ნაზარლო, ქესალო, აღთაკლია; ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში და გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში: დიცი და აძვი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არსებითი დარღვევებით გამოირჩეოდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების საარჩევნო უბნები. სწორედ ამ დარღვევების დეტალურ განხილვას ისახავს მიზნად წინამდებარე ანგარიში. შესაბამისად, ანგარიშში მიმოხილულია საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი არსებითი დარღვევები, რაც მოიცავს: აკრედიტაციის არმქონე პირთა მოქმედებებს; ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევებს; მარკირებასთან დაკავშირებულ პროცედურებს; პირადობის მოწმობების არაკანონიერი გამოყენების, ხმების განმეორებით მიცემის, ფარულობის დარღვევისა და დარღვევებზე არაეფექტური რეაგირების შემთხვევებს.

[1] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ერთობლივი შემაჯამებელი განცხადება, იხ. ბმული

კენჭისყრის შენობის მოწყობა

არჩევნების მონიტორინგის პროცესში დაფიქსირდა არაერთი ხარვეზი საარჩევნო უბნის მოწყობასთან დაკავშირებით, რომელთაგან აღსანიშნავია რეგისტრატორთა მაგიდების განლაგება და სააგიტაციო მასალების განთავსება.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, სააგიტაციო მასალად მიიჩნევა პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი.[2] ასეთი მასალის კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე განთავსება დაუშვებელია. ის ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება.[3] მიუხედავად საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული დებულებისა, მაგალითად, მარნეულის №22 ოლქის №5 საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნების“ სააგიტაციო მასალა, კერძოდ აფიშები და პოსტერები უშუალოდ კენჭისყრის შენობაში, საკლასო ოთახში იყო განთავსებული. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის დაწერას აპირებდა, რის შემდეგაც სააგიტაციო მასალები ჩამოხსნეს. აგრეთვე, ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა, რომ უშუალოდ კენჭისყრის კაბინაში გაკეთებული იყო წარწერა 41, რაც შემდგომ კომისიის წევრებმა წაშალეს.

ასევე, მნიშვნელოვანი დარღვევა გამოვლინდა რეგისტრატორების მაგიდების განლაგებასთან დაკავშირებით. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, დამკვირვებელს უფლება აქვს შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან.[4] თუმცა, შეუძლებელი იყო დაკვირვება ამომრჩეველთა პირადობების შემოწმების ეტაპზე, რადგან თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე რეგისტრატორთა მაგიდები მიდგმული იყო კედელთან. შედეგად, დამკვირვებლები ვერ აკვირდებოდნენ რეგისტრატორთა საქმიანობას, ელექტრონული აპარატების შემთხვევაში კი შეუძლებელი იყო ვერიფიკაციის პროცესისთვის თვალყურის დევნება და გადამოწმება, ემთხვეოდა თუ არა პიროვნება მონიტორზე არსებულ ფოტოს. იყო შემთხვევები, როცა საარჩევნო უბანი ვერ აკმაყოფილებდა ტექნიკურ მოთხოვნებს, მაგალითად, საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №35 უბანი განთავსებული იყო საარჩევნო პროცესისთვის შეუფერებელ, ძალიან მცირე ფართობზე.

რეგისტრატორთა მაგიდების არასამართლიანად განლაგების თაობაზე განაცხადეს ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ: გარდაბნის მუნიციპალიტეტის №21 ოლქის, №43, №44, №02 უბნებსა და მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №3, №12, №48, №80 საარჩევნო უბნებზე. დამკვირვებლების თქმით, გარდა იმისა, რომ ისედაც შეუძლებელი იყო რეგისტრატორებზე დაკვირვება მაგიდების

[2] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მ. 2 (ჰ[7])
[3] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მ. 45 (12)
[4] საქართველოს საარჩევნო კოდექსი; მ. 41 (1) (ბ)

განლაგების გამო, დამატებით ფსევდოდამკვირვებელი ორგანიზაციები მათ ხელს უშლიდნენ და განზრახ ეფარებოდნენ წინ, რათა ხელი შეეშალათ რეგისტრატორის საქმიანობისთვის დაკვირვებაში (მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №12 უბანი). დამკვირვებელმა როცა განაცხადა, რომ მას რეგისტრატორების საქმიანობაზე დაკვირვების უფლება ჰქონდა, რაც უსამართლოდ ეზღუდებოდა, კომისიის თავმჯდომარემ რეაგირების ნაცვლად უპასუხა, რომ მისი უფლების განხორციელების „შანსი არ იყო“ (მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №48 საარჩევნო უბანი). ცენტრის მონიტორებმა მაგიდების განლაგებასთან დაკავშირებით დაწერეს შენიშვნები (მაგ. მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №80 საარჩევნო უბანი). ერთ შემთხვევაში იყო ეფექტური რეაგირების შემთხვევაც. კერძოდ, გორის №32 ოლქის №38 უბანზე კომისიის მდივნის/ თავმჯდომარის მაგიდა იმგვარად იდგა, რომ ამომრჩევლების კენჭისყრის კაბინაში ზურგიდან დანახვის შესაძლებლობას იძლეოდა. ცენტრის მონიტორის მითითების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ შეუსაბამობა აღმოფხვრა და შენიშვნა გაითვალისწინა.

კოორდინაცია, მობილიზაცია და ზეწოლა: არაუფლებამოსილი პირები

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა (გამონაკლისია ეგზიტპოლი).[5] არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან კენჭისყრის დღის ჩათვლით დაუშვებელია ამომრჩევლის მოსყიდვა. მათ შორის, აკრძალულია: საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, ან ასეთის გადაცემის დაპირება. ზემოხსენებული აკრძალული საქმიანობის გაწევის შემთხვევაში, კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტს უუქმდება რეგისტრაცია.[6] ხოლო, ამომრჩევლის იძულება, დაშინება და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა იწვევს დამრღვევის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[7]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, კენჭისყრის შენობასთან არაუფლებამოსილი პირების შეკრებით განსაკუთრებული დარღვევები გამოიკვეთა გარდაბნის, მარნეულისა და საგარეჯოს საარჩევნო უბნებთან მიმართებაში.

[5] საქართველოს საარჩევნო კოდექსი; მ. 45 (12, 13)
[6] საქართველოს საარჩევნო კოდექსი; მ. 47
[7] საქართველოს საარჩევნო კოდექსი; მ. 3 (დ.ბ)

საგარეჯოს საარჩევნო უბნებთან არსებული მდგომარეობა

საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №35 და №37 უბნებზე და მის მიმდებარედ შეინიშნებოდა ადამიანების ჯგუფი, რომლებიც აზერბაიჯანულ ენაზე სისტემატურად შედიოდნენ ამომრჩევლებთან კომუნიკაციაში. სხეულის ენითაც აშკარა იყო, რომ ერთ-ერთი პირი ამომრჩეველთა მობილიზაციასა და კოორდინაციას უზრუნველყოფდა. ამასთანავე, ის ხშირად უშუალოდ კენჭისყრის ოთახშიც შედიოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორს კომისიის წევრებმა ვერ განუმარტეს, თუ ვინ იყო კენჭისყრის ოთახში შემოსული პირი და რა ფუნქციას ასრულებდა. აქედან გამომდინარე, მონიტორმა თავად მოსთხოვა მას უფლებამოსილების დამადასტურებელი საიდენტიფიკაციო მოწმობის ჩვენება. ამის შემდეგ, არაუფლებამოსილი პირი კენჭისყრის შენობაში აღარ შემოსულა და მხოლოდ გარე პერიმეტრზე აგრძელებდა საქმიანობას.

საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №28 და №29 საარჩევნო უბნებზე აქტიურობით გამოირჩეოდა 3-4 ადამიანი, ერთ-ერთ მათგანს ბეიჯზეც ეწერა, რომ იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. ისინი აქტიურად, აზერბაიჯანულ ენაზე აძლევდნენ ამომრჩევლებს მითითებებს, დამკვირვებლებთან კი ამბობდნენ, რომ უბრალოდ აკვალიანებდნენ მოქალაქეებს. მათ ასევე, პერიოდულად, სამარშრუტო მიკროავტობუსებით მოჰყავდათ ამომრჩევლები, რომელთა ჩაცმულობიდან გამომდინარე (ტალახიანი ფეხსაცმელი, სამუშაო ტანსაცმელი), სავარაუდოა, რომ ისინი დროებით მოსწყვიტეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ერთ-ერთმა დამკვირვებელმა, რომელმაც იცოდა აზერბაიჯანული ენა, გაიგო, რომ შემოსასვლელში მდგომი აქტივისტებიდან ერთ-ერთი მამაკაცი ყველას აფრთხილებდა, რომ 41 ნომერი უნდა შემოეხაზათ. ეს ფაქტი დამკვირვებლებმა №28 უბნის კომისიის თავმჯდომარეს განუცხადეს, რომელმაც თავის მხრივ თქვა, რომ დამკვირვებელს გარეთ არაფერი ესაქმებოდა და მხოლოდ ოთახის შიგნით უნდა გაეგრძელებინა დაკვირვება.

საგარეჯოს № 11 საარჩევნო ოლქის № 34 საარჩევნო უბანზე აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ქალბატონი ნახევარი დღის განმავლობაში იმყოფებოდა კენჭისყრის ოთახში ისე, რომ მას აკრედიტაციაც არ ჰქონდა. თავდაპირველად, კომისიის წევრები ამბობდნენ, რომ ქალბატონი დაგვიანებული კომისიის წევრი იყო, რომელსაც ფუნქცია არ გააჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ცენტრის მონიტორმა საჩივარი დაწერა.

საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №35 უბანზე აკრედიტაციის არმქონე პირმა რამდენიმე ადამიანს ჩამოართვა პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და პასპორტები, რის შემდეგაც მიახლოებით ნახევარი საათით გაუჩინარდა. საიდენტიფიკაციო მოწმობების სავარაუდო მფლობელები არ პასუხობდნენ შეკითხვებს ამგვარი ქმედების მიზანთან დაკავშირებით.

საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №30 საარჩევნო უბანთან იდგა მამაკაცთა ჯგუფი, რომელიც ამომრჩევლებს მითითებებს აძლევდნენ. ასევე, მაგალითად, ართმევდნენ პირადობებს და სურათს უღებდნენ მას. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა

რამდენჯერმე მისცა შენიშვნა აღნიშნულ ჯგუფს, რის შემდეგაც მათ შეწყვიტეს პირადობების ჩამორთმევისა და სურათების გადაღების პრაქტიკა. თუმცა, ისინი განაგრძობდნენ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა მოცილებას.

გარდაბნის საარჩევნო უბნებთან არსებული მდგომარეობა

გარდაბნის №21 საარჩევნო ოლქის №2 საარჩევნო უბანზე მმართველი პარტიის წარმომადგენლები, სავარაუდოდ - კოორდინატორები აწარმოებდნენ სიებს, მათ საარჩევნო უბანზე მოჰყავდათ და შემდეგ უკან მიჰყავდათ პირთა ჯგუფები, რომლებსაც მოგვიანებით, მონიტორის თქმით, თანხასაც გადასცემდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ქალბატონმა რამდენჯერმე მოიყვანა უბანზე სხვადასხვა ამომრჩეველთა ჯგუფი, ხოლო როცა მონიტორმა ჰკითხა თუ რა ფუნქციას ასრულებდა, მან უპასუხა, რომ ოჯახის წევრებს ეხმარებოდა. ამის შემდეგ კვლავ განმეორდა ამ ქალბატონისგან იგივე ქმედება, რაზეც დაიწერა საჩივარი, რომელსაც ცენტრის მონიტორიც დაემოწმა.

გარდაბნის 21-ე ოლქის ნაზარლის 32-ე უბანზე - საჯარო სკოლის შენობაში ხშირი იყო „ქართული ოცნების“ აქტივისტების კენჭისყრის ოთახში თავისუფლად გადაადგილების, მათ მიერ პროცესზე დაკვირვებისა და ამომრჩევლის კარამდე მოცილების შემთხვევები. არცერთი მოცილებული ამომრჩეველი არ იყო შშმ პირი და არ საჭიროებდა არანაირ დახმარებას. „ქართული ოცნების“ კოორდინატორები უბნის შესასვლელში იდგნენ 20-30-კაციან აქტივისტების ჯგუფთან ერთად, რომელიც მუდმივად იდგა ცოცხალ ბარიერად უბანზე შესასვლელ კართან. ეს ფაქტი გააპროტესტა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა კომისიის თავმჯდომარესთან, ასევე დარეკა 112-შიც. თუმცა, რეაგირება არ მომხდარა.

გარდაბნის №21 ოლქის №16, №43 და №44 უბანზე ყოველგვარი აკრედიტაციის გარეშე მუდმივად შემოდიოდნენ არაუფლებამოსილი პირები. მათგან ერთ-ერთმა განაცხადა, რომ მაჟორიტარი დეპუტატი იყო. №44 საარჩევნო უბანზე სხვისი ბეიჯით შემოვიდა პირი, რომელიც უბნიდან მას შემდეგ გაიქცა, როცა მონიტორმა შეამჩნია. მოგვიანებით, ამავე ბეიჯით შემოვიდა აკრედიტაციის ნამდვილი მფლობელი, რომელიც ასევე გაიქცა მას შემდეგ, როცა უთხრეს, რომ მისი ბეიჯი სხვა პირმაც გამოიყენა.

მარნეულის საარჩევნო უბნებთან არსებული მდგომარეობა

მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ აკრედიტაციის არმქონე პირები, რომლებსაც ჰქონდათ კომუნიკაცია კომისიის წევრებთან, მათ შორის - თავმჯდომარესთან. როდესაც დამკვირვებელი თავმჯდომარეს აკრედიტაციის არმქონე პირების გაძევების მოთხოვნით მიმართავდა, თავმჯდომარე მართლაც სთხოვდა მათ შენობის დატოვებას. თუმცა, ისინი მალევე კვლავ უკან ბრუნდებოდნენ. საარჩევნო უბნის შესასვლელთან იდგა 25-30 კაციანი ჯგუფი.

მარნეულის №22 ოლქის №48 უბნის შენობაშიც იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა მოსთხოვა ერთ-ერთ მათგანს აკრედიტაციის დამადასტურებელი ბეიჯის წარმოდგენა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ „ბეიჯი მანქანაში დარჩა“. მას შემდეგ მამაკაცი შენობაში საერთოდ აღარ შემოსულა და საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრზე განაგრძობდა საქმიანობას. მონიტორი მასთან გარეთაც მივიდა და კომისიის წევრის თანდასწრებით კიდევ ერთხელ სთხოვა დოკუმენტის წარმოდგენა, ამჯერად კი პასუხად მიიღო, რომ მას არც მანამდე უთქვამს, რომ რაიმე აკრედიტაცია გააჩნდა.

მარნეულის №22 ოლქის №80 საარჩევნო უბნის შენობის წინ იმყოფებოდა მიახლოებით 15 მამაკაცი. ამავე ოლქის №5 და №48 საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრზეც დილიდან იყვნენ მობილიზებული მამაკაცები, რომელთაგან ერთ-ერთი მონიტორებისთვის უცნობი სიებით კითხულობდა და ეძებდა მოქალაქეებს.

მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისულ ამომრჩეველს რეგისტრატორმა განუცხადა, რომ ის არ იყო რეგისტრირებული. როდესაც ამ საკითხით ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორი დაინტერესდა და ცესკოს საიტზე სია გადაამოწმა, აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველი სწორად იყო საარჩევნო უბანზე მოსული. ამის შესახებ დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს შეატყობინა. თუმცა, ფსევდოდამკვირვებელი ორგანიზაციის - „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის“ ორმა წევრმა მოქალაქე ძალის გამოყენებით გაიყვანა შენობიდან. გარეთ კი მასთან სხვა შეკრებილი პირებიც მივიდნენ და აზერბაიჯანულ ენაზე დაუწყეს საუბარი, შედეგად, მოქალაქემ საერთოდ გადაიფიქრა ხმის მიცემა და განაცხადა, რომ აღარ სურდა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება.[8]

მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №3 საარჩევნო უბანზე აკრედიტაციის არმქონე პირთა ჯგუფი მთელი დღის განმავლობაში აკონტროლებდა სიტუაციას. მათ შემოჰყავდათ ამომრჩევლები, რომლებსაც მიუთითებდნენ, რომ საარჩევნო ბიულეტენისთვის სურათი უნდა გადაეღოთ. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უბნის გარეთ მდგომარეობის გაკონტროლება მისი პასუხისმგებლობა არ იყო.

[8] ადამიანის უფლებათა ცენტრი, მონიტორის მიერ გადაღბული ვიდეო, იხ. ბმული

მარკირების პროცედურები

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების საარჩევნო უბნებზე სისტემატურად გამოიკვეთა, რომ რეგისტრატორები და ნაკადის მომწესრიგებლები არ ასრულებდნენ, ან არაჯეროვნად ასრულებდნენ ამომრჩევლების მარკირებისა და მარკირების შემოწმების პროცედურებს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 64-ე მუხლით რეგისტრატორის მოვალეობას წარმოადგენს ამომრჩეველთა მარკირება,[9] მაგრამ ისინი ამ მოვალეობას არაჯეროვნად ასრულებდნენ. მაგალითად, გარდაბნის №21 ოლქის №16 უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს მუდმივად უწევდა რეგისტრატორისთვის ამომრჩეველთა მარკირების საჭიროების შეხსენება. ასევე, საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №28 და №29 საარჩევნო უბნებზე რეგისტრატორები ზერელედ ან საერთოდ არ ახდენდნენ ამომრჩეველთა მარკირებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათთან ახლოს არ იმყოფებოდნენ დამკვირვებლები.

მეორე მხრივ, ნაკადის მომწესრიგებლები არ ამოწმებდნენ ან არაჯეროვნად ასრულებდნენ მარკირების კვალის შემოწმების ფუნქციას. მაგალითად, საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №30 საარჩევნო უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი მოქალაქეებს მარკირების კვალს მხოლოდ ცერა თითებზე უმოწმებდა. (ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა გადაიღო ამ ქმედების ამსახველი ვიდეოც)

გარდაბნის მუნიციპალიტეტის №21 ოლქის №43 და №44 საარჩევნო უბნებზე ქესალოში შემოუშვეს მარკირების მქონე არაერთი მოქალაქე, აღნიშნულთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა საჩივარიც დაწერა. უბანზე ამ ფორმით შემოსულმა ერთ-ერთმა მოქალაქემ განაცხადა, რომ ხელები მანქანის ზეთით ჰქონდა დასვრილი და არა მარკირების კვალით. საოლქოდან მოსული წარმომადგენლების თქმით, მარკირების კვალი თეთრად უნდა გამოჩნდეს, ხოლო მოქალაქის შემთხვევაში ყვითელი შეფერილობის გამო მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიეცა.

ნაკადის მომწესრიგებლის მიერ საკუთარი ფუნქციის არაჯეროვნად შესრულების კიდევ უფრო არსებითი დარღვევა გამოიკვეთა მარნეულის №22-ე საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე, სადაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ნაკადის მომწესრიგებელი საერთოდ არ იმყოფებოდა საარჩევნო უბანზე. შესაბამისად, მოქალაქეებს მარკირების კვალი

[9] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მ.64 (3)

საერთოდ არ უმოწმდებოდათ. ამავე ოლქის №48 საარჩევნო უბანზე სოფელ ყიზილაჯლოში კომისიის წევრების მიერ მარკირების არაჯეროვანი შემოწმების შედეგად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა არაერთხელ დააფიქსირა ერთი და იმავე პირების უბანზე რამდენჯერმე შემოსვლის ფაქტები. ასეთივე მდგომარეობა იყო მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანზე, სადაც მარკირების შემოწმების გარეშე შემოშვებული პირის შემოწმების შედეგად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა, აღმოაჩინა, რომ მოქალაქეს უკვე ემჩნეოდა მარკირების კვალი.

პირადობის მოწმობათა არაკანონიერი გამოყენება

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დამკვირვებელთა მიერ მოცულ საარჩევნო უბნებზე სისტემატურად ხდებოდა პირადობის მოწმობების არაკანონიერი გამოყენება, რაც გამოიხატებოდა, მაგალითად, სხვისი პირადობის მოწმობით კენჭისყრაში მონაწილეობით ან მონაწილეობის მცდელობით. მაგალითად, მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ხმის მიცემა სხვისი გატეხილი პირადობის მოწმობით სცადა. ცენტრის მონიტორის ძალისხმევით მან საარჩევნო უბანი დატოვა, მაგრამ მოგვიანებით კვლავ დაბრუნდა უბანზე და ხმა პასპორტის მეშვეობით მისცა. რამდენად ავთენტური იყო მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი უცნობია, რადგან დამკვირვებლებს რეგისტრატორთან მიახლოების უფლება არ მიეცათ, ხოლო მარკირების შემოწმების პროცედურა აღნიშნულ ამომრჩეველთან მიმართებაში არც თავდაპირველად ჩატარებულა მართებულად.[10] გარდა ამისა, ერთ-ერთ ამომრჩეველს ხელში ორი პირადობის მოწმობა ეკავა, ცენტრის მონიტორის პასუხად მან განაცხადა, რომ მეორე პირადობის მოწმობა მის ძმას ეკუთვნოდა.

მეტიც, ერთ-ერთმა ამომრჩეველმა მამაკაცმა რეგისტრატორს ქალის პირადობის მოწმობა წარუდგინა. მას საარჩევნო უბნის დატოვება მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ მოუწია.[11]

[10] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა; იხ. ბმული
[11] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა; იხ. ბმული

ხმების განმეორებით მიცემა

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა არაერთ საარჩევნო უბანზე შენიშნეს ერთი და იგივე პირების მიერ არჩევნებში რამდენჯერმე მონაწილეობის ფაქტები. ასევე, მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე ცენტრის მონიტორმა დააფიქსირა რეგისტრატორის მიერ მოქალაქისთვის ორი ბიულეტენის მიცემის ფაქტიც.

საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №28 და №29 საარჩევნო უბნებზე გამოიკვეთა ამომრჩევლების მიერ ხმის მინიმუმ ორჯერ მიცემის შემთხვევები. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტის დროს, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის წევრს უთხრა, რომ ამოიცნო ამომრჩეველი, რომელიც ხელმეორედ იღებდა არჩევნებში მონაწილეობას. ეს ფაქტი კომისიის წევრმა უარყო, მაგრამ თავად ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ამომრჩეველმა დაადასტურა, რომ ხმა უკვე მიცემული ჰქონდა და განმეორებით იღებდა პროცესში მონაწილეობას.

მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთი მამაკაცი გამოირჩეოდა აქტიურობითა და მოქალაქეთათვის მითითებების მიცემით. სწორედ ამ პიროვნებამ განმეორებით მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დამკვირვებლებმა რეგისტრატორიც და თავმჯდომარეც საქმის კურსში ჩააყენეს, რეაგირების ნაცვლად, კომისიის თავმჯდომარე მამაკაცს ხმის ხელმეორედ მიცემასა და ბიულეტენის აპარატში მოთავსებაში დაეხმარა.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა

საქართველოში არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპია კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, დაშინება ან იძულება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[12] ამის მიუხედავად, არჩევნების დღეს მასშტაბურად დაირღვა ამომრჩეველთა ხმის მიცემის ფარულობა.

მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ფარულობის პრინციპი დაირღვა საარჩევნო კაბინაში ორი და მეტი პირის შესვლით, ბიულეტენისთვის

[12] საქართველოს საარჩევნო კოდექსი; მ.3 (დ, დ.ბ)

ფოტოების გადაღებით და ა.შ. ხოლო, ელექტრონული არჩევნების შემთხვევაში - ფურცელზე გადმოსული მარკერის კვალით.

კენჭისყრის კაბინაში ფოტოგადაღება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია.[13] ამის მიუხედავად, მოქალაქეები მასშტაბურად იღებდნენ ბიულეტენის სურათებს. დამკვირვებლები კი სისტემატურად აღრიცხავდნენ ფარულობის დარღვევის ფაქტებს. ამომრჩევლების მიერ ბიულეტენისთვის სურათების გადაღების შემთხვევათა სიმრავლით გამოირჩეოდა: მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №12 და №5 საარჩევნო უბანი; გარდაბნის №21 საარჩევნო ოლქის №2, №43 და №44 საარჩევნო უბანი; მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №3 საარჩევნო უბანი.

უფრო კონკრეტულად, მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №3 საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის დაკვირვებით, ყოველი მესამე ამომრჩეველი ცდილობდა ბიულეტენისთვის სურათის გადაღებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მონიტორმა შესაბამისი საჩივარიც დაწერა. უმეტესად, ამომრჩევლები სურათის გადაღებას უარყოფდნენ და საარჩევნო უბნის სწრაფად დატოვებას ცდილობდნენ.

მარნეულის №22 ოლქის №5 საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ აღნიშნულ ფაქტზე საჩივრის დაწერის შემდეგაც არ აღმოფხვრილა ამომრჩეველთა მიერ ფოტოების გადაღების პრაქტიკა. ხოლო, გარდაბნის №21 საარჩევნო ოლქის №02 საარჩევნო უბანზე ცენტრის მონიტორის მოთხოვნის შედეგად, საარჩევნო კაბინაში გადაღებული სურათი წაშალა ექვსმა ამომრჩეველმა. რიგ შემთხვევებში, მოქალაქეებმა უარი განაცხადეს სურათის წაშლაზე (აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის მონიტორმა დაწერა შენიშვნა).

[13] საქართველოს საარჩევნო კოდექსი; მ. 58 (6)

აღსანიშნავია, რომ მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №3 საარჩევნო უბანზე 18:00 საათის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ტელეფონით უნათებდა ბიულეტენს ამომრჩეველს, ხოლო ცენტრის დამკვირვებლის პასუხად, ამბობდა, რომ სხვა გზა არ იყო სინათლის ნაკლებობის გამო. აღნიშნული ფაქტი, ცხადია, გამოიწვევდა ამომრჩეველში ფარულობის დარღვევის - მისთვის პოტენციურად სურათის გადაღებისგანცდას, რაც, სავარაუდოდ, მოახდენდა გავლენას ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოხატვაზეც.

კენჭისყრის კაბინაში ჯგუფურად შესვლა

თითქმის ყველა უბანზე გამოიკვეთა სარჩევნო კაბინაში ერთდროულად რამდენიმე ადამიანის შესვლის ფაქტები. ხშირად შემოდიოდნენ ამომრჩეველთან ერთად გარეთ ჯგუფად შეკრული მოქალაქეები და სხვადასხვა საბაბით ეხმარებოდნენ მათ არჩევნის გაკეთებაში. ყოველ ჯერზე ცენტრის მონიტორი აპროტესტებდა მსგავს ფაქტებს, მაგრამ როგორც ამომრჩევლები, ისე კომისიის წევრები იმიზეზებდნენ ასაკის, მხედველობის და გადაადგილების გამოგონილ პრობლემებს. ასევე, ხაზს უსვამდნენ ოჯახურ კავშირებსაც. მეტიც, საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №30 საარჩევნო უბანზე კაბინაში დახმარება იმით გაამართლეს, რომ თითქოს მიმყოლ პიროვნებას მხოლოდ სწავლების მიზანი ამოძრავებდა და ის არ აიძულებდა ამომრჩეველს რამე კონკრეტულის შემოხაზვას. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა შეაგროვეს არაერთი ფოტო და ვიდეომასალა, სადაც ნათლად ჩანს, რომ კაბინაში შესულ მოქალაქეებს არ ჰქონდათ ჯანმრთელობის პრობლემა და, შესაბამისად, არც რაიმე სახის ახმარებას საჭიროებდნენ.

საარჩევნო კაბინაში ორი პირის ერთდროულად შესვლის შემთხვევები სისტემატურად მეორდებოდა მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანზეც. აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი, მაგრამ დარღვევა არ აღმოფხვრილა. მეტიც, დამკვირვებელს აქეთ აძლევდნენ შენიშვნას, რადგან, ის, თითქოსდა, დახმარებას არ აცდიდა მოქალაქეებს.

**** მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანზე ერთ კაბინაში მყოფი ორ-ორი პიროვნება.***

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა განმარტებით, არაერთხელ დაფიქსირდა „ქართული ოცნების“ აგიტატორების მიერ ამომრჩევლებთან კენჭისყრის კაბინაში შეყოლის შემთხვევები გარდაბნის №21-ე ოლქის №16 უბანზე. იმავე სცენარით ხდებოდა ამომრჩევლებთან კაბინაში შეყოლა მარნეულის №22 ოლქის №48, №12 და №5 უბნებზე. დამატებით, გარდაბნის №21 ოლქის ნაზარლოს №32 უბანზე კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო კაბინაში ორი პირის ერთად შესვლას ხშირად ამართლებდა იმით, რომ ამომრჩეველმა გაუნათლებლობის გამო წერა-კითხვა არ იცისო. ხოლო, საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №28 და № 29 საარჩევნო უბნებზე, როცა კაბინაში შეყოლა კომისიის წევრებმა ამომრჩევლის მხედველობის პრობლემით გაამართლეს, ცენტრის მონიტორმა დაინახა, როგორ მიუთითებდა შემყოლი პირი ამომრჩეველს 41 ნომრის შემოხაზვაზე, რაც მოქალაქემ ყოველგვარი მხედველობის პრობლემის გარეშე შეასრულა.

კენჭისყრის შედეგების შეჯამება

კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესში, ხმების დათვლისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებს, რიგ შემთხვევებში, არ ჰქონდათ შესაძლებლობა,

რომ ახლოდან დაჰკვირვებოდნენ ხმების დათვლის პროცესს. მაგალითად, მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრი ცენტრის დამკვირვებელს ეუბნებოდა, რომ მას არ ჰქონდა ხმების დათვლის მაგიდისათან მიახლოების უფლება. მეტიც, აღნიშნული კომისიის წევრი ხელით შეეხო დამკვირვებელს და სცადა მისი ტელეფონის დაგდება (იხ.ვიდეო)14

პრობლემური იყო გადასატან ყუთთან დაკავშირებული პროცედურებიც. მაგალითად, არჩევნების დასრულების შემდეგ, გარდაბნის №21 ოლქის №16 უბანზე გადასატანი ყუთის მთლიანობა დაირღვა. ასევე, საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №28 უბანზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის №21 ოლქის №43 უბანზე გადასატანი ყუთი ლუქის გარეშე შემოვიდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა საგარეჯოში დაწერა საჩივარი გადასატანი ყუთის შედეგების ბათილობის მოთხოვნით, ხოლო გარდაბანში მონიტორმა ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა შეიტანა. აქვე აღსანიშნავია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 21-ე ოლქის, 43-ე და 44-ე საარჩევნო უბნებზე ქესალოში დენის მიწოდება შეწყდა და გენერატორებიც გამოირთო, ამის გამო ბიულეტენების ხელით გადათვლა მობილურის შუქის ფონზე მიმდინარეობდა.

საარჩევნო დარღვევებზე არაეფექტური რეაგირების მიზეზები

საარჩევნო უბნებზე გამოვლენილ დარღვევებზე ხშირ შემთხვევაში რეაგირება არ ხდებოდა, ან არაეფექტურად ხდებოდა. დარღვევებზე რეაგირების ნაკლებობას ხელს უწყობდა უბანზე მობილიზებული ფსევდოდამკვირვებლები, მიკერძოებული და არაკომპეტენტური კომისიის წევრები ანდა დამკვირვებლებისადმი არსებული მტრული განწყობის შემთხვევები.

მიკერძოებული კომისიის წევრები და დამკვირვებლებისადმი გამოვლენილი მტრული დამოკიდებულება

მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე მდივანი დამკვირვებელს არ აძლევდა საჩივრის რეგისტრაციის დამადასტურებელ ფურცელს, თითქოსდა ის ადგილზე არ ჰქონდა, მაგრამ ადგილზე ცესკოს წარმომადგენლის გამოჩენის შემდეგ, მან ფურცლები მოულოდნელად იპოვა. მდივანი ასევე არ აძლევდა დამკვირვებელს ჩანაწერთა წიგნში მის მიერ გაკეთებული ჩანაწერისთვის სურათის გადაღების შესაძლებლობას. ასევე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, ისე კომისიის წევრი უარს ამბობდა ხმების დათვლის პროცესში დამკვირვებლის მიერ დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით დაწერილი საჩივრის დარეგისტრირებაზე.

[14] ადამიანის უფლებათა ცენტრი. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა იხ. ბმული

ზოგადად, კომისიის წევრები გამოირჩეოდნენ დამკვირვებლებისადმი მტრული დამოკიდებულების გამოვლენით. მაგალითად, ზოგიერთი დამკვირვებლის თქმით, კომისიის წევრი მას აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, უწოდებდა „უზრდელსა“ და „უკულტუროს“, ხოლო კომისიის თავმჯდომარე ამბობდა, რომ მას „ყელში ჰქონდა ამოსული“ დამკვირვებლების საარჩევნო უბანზე ყოფნა.

მარნეულის №22 ოლქის №48 უბანზე კომისიის თავმჯდომარე გულგრილი იყო დამკვირვებელთა შენიშვნებისადმი. მდივანი კი უკმაყოფილებას გამოხატავდა, როდესაც მას დამკვირვებელი რეგისტრაციის ჟურნალში შენიშვნის ჩაწერას სთხოვდა. ასევე, მტრული დამოკიდებულით გამოირჩეოდნენ კომისიის წევრები. ისინი, რიგ შემთხვევებში, უმიზეზოდ იწყებდნენ კამათს დამკვირვებლებთან.

საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №30 საარჩევნო უბანზე დამკვირვებელს ხელი შეუშალეს ჩანაწერთა წიგნში კენჭისყრის კაბინაში ორი პირის ერთდროულად შესვლის თაობაზე ჩანაწერის გაკეთებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურობდა არაუფლებამოსილი აქტივისტი, რომელიც მითითებებს აძლევდა კომისიის თავმჯდომარესაც. ცენტრის მონიტორს შენიშვნის ჩაწერის შესაძლებლობა მხოლოდ ოცწუთიანი კამათისა და გარჩევების შემდეგ მიეცა.

მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე მოქალაქის მიერ ხმის მეორედ მიცემის მცდელობის თაობაზე დამკვირვებლის მიერ შენიშვნის ჩაწერასთან დაკავშირებით, კომისიის მდივანმა მონიტორს უარი განუცხადა. ის ყველა დამკვირვებელს ეუბნებოდა, რომ მხოლოდ თავად შეეძლო შენიშვნის ჩაწერა. ამიტომ ჩანაწერთა წიგნში არავის ჰქონდა შენიშვნა ჩაწერილი. დამკვირვებელს ჩანაწერის გაკეთების უფლება მისცეს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის კოორდინატორის ადგილზე მისვლის შემდეგ.

გარდაბნის №21 ოლქის ნაზარლოს №32 უბანზე კომისიის თავმჯდომარე აპროტესტებდა ნებისმიერ დარღვევაზე მითითებასა და ყოველი საჩივრის დაწერის მცდელობას. კომისიის წევრები კენჭისყრის კაბინაში შესულ ამომრჩევლებს აზერბაიჯანულ ენაზე ესაუბრებოდნენ. ამ ფაქტით დაინტერესდა დამკვირვებელი, რაზეც მიუგეს, რომ თუკი გაგების სურვილი ჰქონდა, მას აზერბაიჯანული ენა უნდა ესწავლა. მეტიც, კენჭისყრის კაბინაში ორი პირის ერთდროულად შესვლის დროს კომისიის თავმჯდომარემ ერთ-ერთ დამკვირვებელს ხელიდან გააგდებინა ტელეფონი, რათა ამ უკანასკნელს ვერ მოეხერხებინა ვიდეოს გადაღება. ამ დროს უბანზე შემოცვივდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტებიც, რომელთაგან ზოგს ჰქონდა აკრედიტაცია, ზოგს არა. ისინი პასუხს სთხოვდნენ დამკვირვებელს, თუ რატომ აპირებდა საჩივრის დაწერას. შენიშვნის მიცემის შემდეგ, ცენტრის დამკვირვებელი აღმოჩნდა მიახლოებით 30 მამაკაცის გარემოცვაში, რომლებიც, სავარაუდოდ, მისთვის ბიულეტენის გამორთმევას ცდილობდა. ამავე უბანზე ორზე მეტი ამომრჩევლის კაბინაში ერთდროულად ყოფნის დარღვევაზე მითითებამ იმდენად გააღიზიანა

კომისიის მდივანი, რომ მან დამკვირვებლის უბნიდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნულ ინციდენტამდე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა დამკვირვებელს ჰკითხა თუ როგორ აპირებდა სახლში წასვლას. ეს შეკითხვა მონიტორმა გარკვეულწილად მუქარად აღიქვა, რადგან საარჩევნო უბანთან მიახლოებით 30-კაციანი აგრესიულ მამაკაცთა ჯგუფი იმყოფებოდა.

გარდაბნის №21 ოლქის ნაზარლოს №32 უბანზე, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრებს შორის იყო „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები, კომისიის სრული შემადგენლობა „ქართული ოცნების“ მომხრეებისაგან იყო დაკომპლექტებული. ისინი ამბობდნენ, რომ არ სურდათ რაიმე პრობლემა შეჰქმნოდათ. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ხედავდა, როგორ აძლევდნენ ხმას ერთი და იგივე პიროვნებები უბანზე, მას შეეძლო პირთა ამოცნობაც, მაგრამ დუმილს არჩევდა.

ფსევდოდამკვირვებლები

კენჭისყრის მიმდინარეობისას გამოვლენილი დარღვევებზე რეაგირება არ ჰქონდა ანდა, პირიქით, დარღვევებისა და ძალადობრივი ინციდენტების გამომწვევები იყვნენ ფსევდოდამკვირვებლები, რომლებიც საარჩევნო უბნებზე რეალურად პარტია „ქართული ოცნების“ ნდობით აღჭურვილ პირებს წარმოადგენდნენ. ისინი ხელს უშლიდნენ დამკვირვებლებს საქმიანობის განხორციელებაში და მათდამი მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ. მაგალითად, მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის 50-ე საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის თქმით, იმყოფებოდნენ „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის“ ე.წ. დამკვირვებლები, რომლებიც კანონდარღვევით ხან ორნი ხან კი სამნი შედიოდნენ უბანზე, რაზეც საარჩევნო კომისიის წევრებს რეაგირება არ ჰქონდათ. ამ ორგანიზაციის ერთზე მეტი წარმომადგენელი, ფაქტობრივად, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა შენობაში, რაც საარჩევნო კანონის უხეში დარღვევაა.[15] მეტიც, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, თუ როგორ წამოიწყეს ფიზიკური დაპირისპირება „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის“ წარმომადგენლებმა და შენობაში მყოფმა აკრედიტაციის არმქონე პირებმა ერთ-ერთი დამკვირვებლის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ამ ჯგუფმა დამკვირვებელი შენობიდან ძალით გაიყვანეს.[16]

მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე ასევე ერთდროულად იმყოფებოდა „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერის“ 2-3 წარმომადგენელი, რომელიც ხელს უშლიდა დამკვირვებლებს კენჭისყრის პროცედურაზე დაკვირვებაში.

[15] HumanRights.ge; ფსევდოდამკვირვებლები - გაყალბების და ძალადობის აქტიური მონაწილეები; 31.10.2024; იხ. ბმული

[16] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ინციდენტის ამსახველი ვიდეო, იხ. ბმული

მაგალითად, რეგისტრატორთან მისვლისას უდგებოდნენ წინ, რათა ხელი შეეშალათ პროცესისთვის თვალყურის მიდევნებაში. თავმჯდომარის მხრიდან შენიშვნის მიცემის შემთხვევაში, ეს პირები ტოვებდნენ უბანს, მაგრამ 10-15 წუთში უკან ბრუნდებოდნენ.

„პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის" რამდენიმე ფსევდოდამკვირვებელი იყო საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №30 საარჩევნო უბანზე და მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №48 საარჩევნო უბანზე,სოფელ ყიზილაჯლოშიც. მარნეულის №22 ოლქის №48 უბანზე ასეთი ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დამკვირვებელს და გამოიწვია დაპირისპირება. ამავე ოლქის №80 უბანზე მონიტორმა შენიშნა, რომ „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის“ წარმომადგენელმა კენჭისყრის კაბინაში მყოფ ამომრჩეველს ერთი ხელით ანიშნა ციფრი 4, ხოლო მეორე ხელით -1.

მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №03 საარჩევნო უბანზე ერთდროულად იმყოფებოდა „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს” 3 წარმომადგენელი, “ევროპული განვითარების” წარმომადგენელი, რომელმაც თქვა, რომ მთავრობის მიერ დაფინანსებული პირი იყო და “OBSERVERS-ის“ ორი დამკვირვებელი, რომლებიც ასევე ახლო ურთიერთობით გამოირჩეოდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან. მონიტორების თქმით ასეთივე მდგომარეობა იყოგარდაბნის 21-ე ოლქის ნაზარლის 32-ე უბანზე, სადაც ფსევდოდამკვირვებლები დარღვევებზე არანაირად არ რეაგირებდნენ.

კომისიის წევრების კომპეტენცია

კომისიის წევრებმა არაერთხელ გამოამჟღავნეს კომპეტენციის ნაკლებობა. ხშირად ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი არც საარჩევნო პროცედურების და არც შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ. მაგალითად, მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის №12 საარჩევნო უბანზე, როცა დამკვირვებელმა კომისიის წევრებს საარჩევნო კოდექსი მოსთხოვა, მას ცესკოს სახელმძღვანელო მიაწოდეს. ამავე უბანზე კომისიის წევრმა არ იცოდა, რომ ბათილი ბიულეტენები საჭიროებდა დალუქვას. ამის შესახებ მას ცენტრის დამკვირვებელმა განუმარტა.

მოქალაქის მიერ კენჭისყრის კაბინაში ფოტოს გადაღებასთან დაკავშირებით მარნეულის №22 ოლქის №5 საარჩევნო უბნის თავმჯდომარე არასწორად განმარტავდა, რომ მოქალაქეს კენჭისყრის კაბინაში ფოტოს გადაღების უფლება ჰქონდა.

მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის №48 საარჩევნო უბანზე, სოფელ ყიზილაჯლოში კომისიის წევრებს არ ჰქონდათ არანაირი რეაგირება სხვადასხვა დარღვევებზე. ხოლო, საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის №30 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია შეეძლო თუ არა დამკვირვებელს დამკვირვებელს ჩანაწერთა წიგნაკში შენიშვნის ჩაწერის შესაძლებლობა. ასევე, გარდაბნის 21-ე ოლქის ნაზარლის 32-ე უბანზე კომისიის მდივანს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ქვითარზე ამობეჭდილი სიები უნდა გაეკრათ კედელზე და ა.შ.

დარღვევათა შეჯამება

ადამიანის უფლებათა ცენტრის 20-მა დამკვირვებელმა 26 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე დაწერა 12 საჩივარი. ასევე, მათ 26 შენიშვნა შეიტანეს ჩანაწერთა წიგნში.[17]

დარღვევათა შორის ტენდენციის სახით გამოიკვეთა:

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით აკრძალულია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა, გამოკვეთილი ტენდენციის სახე ჰქონდა საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიული კოორდინატორების და აგიტატორების შეკრებას და ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვის სისტემატურ ხელშეშლას.
- დამკვირვებლებმა დააფიქსირეს საარჩევნო კაბინაში შესული ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების ფაქტები მაშინ, როდესაც არაუფლებამოსილი პირები შედიოდნენ მასთან კაბინაში და კარნახობდნენ, რომელი საარჩევნო სუბიექტისთვის მიეცათ ხმა.
- არაუფლებამოსილი პირების მიერ საარჩევნო უბანთან ხდებოდა ამომრჩევლის შემოწმება და, რიგ შემთხვევებში, მისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა. არაუფლებამოსილი პირები აწარმოებდნენ ამომრჩეველთა სიებსაც.
- კენჭისყრის კაბინაში ხმის მიცემის დროს ერთად შედიოდა ორი ამომრჩეველი. აღნიშნულ ფაქტზე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან, სათანადო რეაგირების არქონის გამო დამკვირვებლების მხრიდან იწერებოდა საჩივრები.
- არაუფლებამოსილი პირების, კომისიის წევრების ან ფსევდოდამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ხდებოდა კენჭისყრის კაბინაში შესული ამომრჩევლისთვის კარნახი, რომ მათ ხმა პარტია „ქართული ოცნებისთვის“ უნდა მიეცათ.
- უმეტეს საარჩევნო უბანზე ხდებოდა ამომრჩეველთა მანქანებით მოყვანა და მათთვის პირადობების მოწმობათა დარიგება, რაც, შესაძლოა, ახდენდა ზემოქმედება მათი თავისუფალი ნების გამოხატვაზე.
- სისტემური ხასიათის დარღვევას წარმოადგენდა ამომრჩევლის მხრიდან საარჩევნო კაბინაში ხმის მიცემის შემდეგ ბიულეტენისთვის ტელეფონით ფოტოსურათის გადაღება. დამკვირვებლებს მუდმივად უწევდათ

[17] ადამიანის უფლებათა ცენტრი; საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის პროცესზე გავლენა მოახდინა ძალადობრივმა ინციდენტებმა და დარღვევებმა - ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასება; 26.10.2024; იხ. ბმული

ამომრჩევლებისთვის მოწოდება, რომ ბიულეტენისთვის ფოტოსურათი არ გადაეღოთ, ასევე შეძლებისდაგვარად აშლევინებდნენ უკვე გადაღებულ ფოტოსურათებს. აღნიშნულ ფაქტზე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან, სათანადო რეაგირების არქონის გამო, დამკვირვებლების მხრიდან იწერებოდა საჩივრები.

- საარჩევნო უბნებზე იყო სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის ფაქტები.
- ხშირი იყო შემთხვევა, როცა საარჩევნო უბნებზე ნაკადის მომწესრიგებლის მხრიდან არ ხდებოდა მარკირების შემოწმება, ხოლო, რეგისტრატორის მიერ - მარკირების გაკეთება.
- არაერთხელ დაფიქსირდა რეგისტრატორების მიერ ამომრჩევლისთვის 2 ბიულეტენის მიცემის შემთხვევა.
- უმეტეს საარჩევნო უბანზე რეგისტრატორთა მაგიდები იმგვარად იყო განლაგებული, რომ დამკვირვებლებისთვის პირადობის მოწმობის შემოწმების პროცესი არ ყოფილიყო ხილვადი.
- დამკვირვებლებს საქმიანობაში ხელს უშლიდნენ საქმიანობაში როგორც კომისიის წევრები, ისე ფსევდოდამკვირვებელი ორგანიზაციები. გამოიკვეთა მათზე ზეწოლისა და ძალადობის შემთხვევებიც.
- ტენდენციის სახე ჰქონდა დამკვირვებლებისადმი მტრულ დამოკიდებულებას, მათთვის შეურაცხყოფის მიყენებას და საარჩევნო უბნიდან მათ გაძევებას. კომისიის წევრები დამკვირვებლებს უზღუდავდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს. მათ შორის, დამკვირვებლებს ეზღუდებოდათ გადაადგილება, ფოტოს და ვიდეოს გადაღება.
- კომისიის წევრები საარჩევნო უბნის თავმჯდომარე და მდივანი აგრესიას იჩენდნენ, როცა დამკვირვებლების მიერ იწერებოდა საჩივარი ან/და შენიშვნა.
- საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ მიკერძოებული კომისიის წევრები (მათ შორის, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც რეალურად მმართველი პარტიის მხარდამჭერები იყვნენ).
- საარჩევნო უბნებზე ფსევდოდამკრივებელი ორგანიზაციიდან იმყოფებოდა ორი და მეტი დამკვირვებელი.
- არაერთ უბანზე დაირღვა გადასატანი ყუთის მთლიანობა.
- კომისიის წევრები, უმეტესად, იყვნენ დარღვევების აქტიური მონაწილეები და ხელშემწყობნი.
- არაერთხელ გამოიკვეთა კომისიის წევრების არაკომპეტენტურობა და საკუთარი ფუნქციების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევები.
- ელექტრონული არჩევნების შემთხვევაში, ამომრჩეველთა ხმის მიცემის ფარულობა დარღვეული იყო ფურცელზე გაჟონილი მარკერის კვალით. ასევე,

ხშირად ამომრჩეველი ჩარჩო-კონვერტის აპარატში მოთავსებამდე ბიულეტენს კომისიის წევრს ანახებდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის პროცესზე გავლენა მოახდინა მთელ რიგ საარჩევნო უბნებზე მომხდარმა ძალადობრივმა ინციდენტებმა და დარღვევებმა, რაც ორგანიზაციის დამკვირვებლებმა კენჭისყრის მიმდინარეობისას გამოავლინეს.

ადმიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ ძალადობრივ ინციდენტებზე და დარღვევებზე სრულად არის პასუხისმგებელი ხელისუფლება და მმართველი პარტია - „ქართული ოცნება“, რომლის წარმომადგენლები, უმეტესწილად, იყვნენ სწორედ პროვოკაციული, უკანონო და ძალადობრივი ქმედებების ინიციატორები ან აქტიური მონაწილეები[18]

[18] ადამიანის უფლებათა ცენტრი; საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის პროცესზე გავლენა მოახდინა ძალადობრივმა ინციდენტებმა და დარღვევებმა - ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასება; 26.10.2024; იხ. ბმული